ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქონების მართვის სააგენტო

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს გადაწყვეტილება

04.08.2021 № E-599-2-26516 ქ.თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის შესახებ გამართულ ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდა

დასახელება:	შპს "ალმა"
საიდენტიფიკაციო კოდი:	204873388
მისამართი:	თბილისი ქურხულის შეს. 2, ბ. 4
წარმომადგენელი:	გიორგი ტრაპაიძე 01027018747
ტელეფონი:	577121470
ელ.ფოსტა:	tmelikidze@alma.ge

აუქციონის პირობები

ჩატარებული აუქციონის მონაცემები:

აუქციონის ჩატარების თარიღი: 04.08.2021

აუქციონის № 599

ლოტის № 2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის შესახებ

ქონების აღწერა:

მოკლე ინფორმაცია აუქციონის შესახებ (აუქციონის შესახებ სრული ინფორმაცია იხ. თანდართულ პირობებში. ამ ვებგვერდზე მოცემულ ინფორმაციასა და აუქციონის პირობებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება აუქციონის პირობებს):

ქონების ტიპი:არამატერიალური ქონებრივი სიკეთე

ქონება:ნებართვა

აუქციონი ითვალისწინებს გამარჯვებული პირისათვის გარე რეკლამის განთავსების ექსკლუზიური ნებართვის გადაცემას 15 წლის ვადით, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ტერიტორიაზე, აუქციონის პირობების დანართი №1-ში მოცემულ ადგილებზე, ამავე დანართით განსაზღვრული პარამეტრების გარე რეკლამების განთავსების მიზნით (შემდგომში - „არსებული ობიექტები“). (იხ. თანდართული აუქციონის პირობები);

აუქციონის სრული საფასური გადახდილ უნდა იქნას ერთჯერადი, წინასწარი გადახდის გზით, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში. ;

გარდა არსებული ობიექტებისა, გამარჯვებული პირი უფლებამოსილია ლოტით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე განათავსოს გარე რეკლამის მცირე საშუალებები აუქციონის პირობებში მითითებული ოდენობებითა და წესით;

იმ შემთხვევაში, თუ აუქციონში გამარჯვებულ პირს სურს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტთან შეთანხმების საფუძველზე, ლოტით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე მოიპოვოს გარე რეკლამის განთავსების უფლება არსებული ობიექტებისგან განსხვავებულ (დამატებით) ადგილებზე ან/და მეტ ფართობზე, ასევე, მცირე საშუალებების აუქციონი პირობებით განსაზღვრულზე მეტ რაოდენობაზე (შემდგომში - „ახალი ობიექტები“), ახალი ობიექტის განთავსების ნებართვის მოპოვების სანაცვლოდ, მან მუნიციპალიტეტს დამატებით უნდა გადაუხადოს ამგვარი ცვლილებით გამოწვეული გაუმჯობესების შესაბამისი საბაზრო ღირებულება;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია ლოტით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე, აუქციონის პირობების დანართი N3-ში მითითებულ ობიექტებზე და ასევე, სხვა ნებისმიერ ადგილზე, შეუზღუდავად განათავსოს ნებისმიერი სახის სარეკლამო ინფრასტრუქტურა და გაავრცელოს მასზე ისეთი სახის რეკლამა, რომელიც ემსახურება საზოგადოების (მისი ნაწილის) ინფორმირებას მუნიციპალიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებულ ან/და საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხზე. გამარჯვებული პირი ვალდებულია,

ნებართვის მოქმედების ვადის განმავლობაში მუდმივად უზრუნველყოს პირობების დანართი N3-ში მითითებულ ადგილებზე ამავე დანართში მოცემული პარამეტრების სარეკლამო ინფრასტრუქტურის განთავსება, ასევე, მათი მოვლა-პატრონობა, რემონტი/განახლება (საჭიროებისამებრ), მათი თავისუფალ მდგომარეობაში შენარჩუნება და მათზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის (მათ შორის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირ(ებ)ი) მიერ მიწოდებული გარე რეკლამის გავრცელება და ამ მიზნით, სხვა შესაბამისი სამუშაოების გაწევა/ღონისძიებების განხორციელება, საკუთარი ხარჯებით;
აუქციონის სრული საფასურის (ასევე, დაკისრებული პირგასამტეხლოს, ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხელშეკრულებით დადგენილ ან/და ნებართვის გამცემის მიერ განსაზღვრულ დამატებით ვადაში გადახდის დღიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში (მაგრამ არაუადრეს 2021 წლის პირველი სექტემბრისა) გაიცემა სანებართვო მოწმობა.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისა და საკრებულოს განკარგულებები და სააგენტოს ბრძანება იხილეთ აქ:
აუქციონის პირობები იხილეთ აქ
დანართი N1 - არსებული ობიექტები;იხილეთ აქ
დანართი N2 - არსებული ობიექტისა და დანართი N3-ით გათვალისწინებული ობიექტების ელექტრონული რუკა (ბმული); იხილეთ აქ
დანართი N3 - მუნიციპალიტეტისთვის განკუთვნილი გარე რეკლამის ობიექტები; იხილეთ აქ
დანართი N4 - საბანკო გარანტიის ფორმა. იხილეთ აქ
აუქციონის პირობების 2.11 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულებების შესახებ ინფორმაცია იხილეთ აქ:
N1 და N3 დანართებით გათვალისწინებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, 2021 წლის 8 ივლისს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები იხილეთ აქ.
Please see English translation here
(This is unofficial translation. In case of any discrepancies between Georgian and English Versions, Georgian version shall prevail)
Website Description see here
Ordinances see here
Terms and Conditions of Auction see here
Annex 1 see here
Annex 2 Electronic Map of the Existing Facilities and the Facilities foreseen under Annex 3 see here
Annex 3 see here
Annex 4_ Bank Guarantee Draft see here

Legislative changes made on July 8, 2021 in relation to realestate defined under Annexes N1 and N3 see here

---

ფორმა: გარე რეკლამის ნებართვა

ნებართვის გაცემის საფასური 21531803.00 ლარი

1.სააგენტოს მიერ აუქციონის ჩატარების მომსახურების საფასური აუქციონში გამარჯვებული პირისთვის შეადგენს 0 ლარს;
2.აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის საფუძველზე, აუქციონის დასრულებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა (წარმოდგენილი აუქციონატორის მიერ) და აუქციონში გამარჯვებულს შორის ფორმდება წერილობითი ხელშეკრულება.
3. აუქციონში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მიღების, შესაბამისი ხელშეკრულების დადების (ხელმოწერის), აუქციონის სრული საფასურის გადახდის (მათ შორის, საფასურის სრულად/ნაწილობრივ გადაუხდელობის შემთხვევაში დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის) უზრუნველსაყოფად ელექტრონული აუქციონის გამოცხადებიდან (დაწყებიდან) მის დასრულებამდე არაუგვიანეს წინა სამუშაო დღის 18:00 საათისა, აუქციონში მონაწილეობის მსურველმა პირმა უნდა გადაიხადოს ბე, არანაკლებ, 2 050 650 (ორი მილიონ ორმოცდაათი ათას ექვსას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მითითებული ვადის გასვლიდან ელექტრონული აუქციონის დასრულებამდე არაუგვიანეს 2 წუთისა, ბეს გადახდა აუქციონში მონაწილეობის მსურველს შეუძლია მხოლოდ ბილინგის სისტემით ან ელექტრონული აუქციონის გამოცხადებიდან მის დასრულებამდე, არაუგვიანეს წინა სამუშაო დღის 18:00 საათისა, აუქციონის მსურველმა პირმა წერილობითი ფორმით (მისამართზე: ქ. თბილისი, ჟიული შარტავას ქ., N7, სსიპ - ქონების მართვის სააგენტო) უნდა წარმოადგინოს უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია , არანაკლებ, 2 050 650 (ორი მილიონ ორმოცდაათი ათას ექვსას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით (არსებითად აუქციონის პირობების დანართი №4-ით გათვალისწინებული ფორმით);
4.აუქციონში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ გადახდილ უნდა იქნას ზემოაღნიშნული ბე ან წარმოდგენილ უნდა იქნას შესაბამისი საბანკო გარანტია. განსაზღვრულ ვადაში ბეს გადაუხდელობის ან/და საბანკო გარანტიის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, პირი არ დაიშვება აუქციონზე.
5.ბეს ბილინგ სისტემით გადახდა: ანგარიშსწორების მეთოდი, რომლის მეშვეობითაც (www.iauction.ge ან auction.tbilisi.gov.ge) ვებგვერდზე განთავსებული ინვოისის შესაბამისად ხორციელდება სს ,,ლიბერთი ბანკის“ ნებისმიერ ფილიალში თანხის ნაღდი ანგარიშსწორების ფორმით გადახდა. აღნიშნული მეთოდი უზრუნველყოფს გადახდილი თანხის ავტომატურ და მყისიერ ასახვას აუქციონატორის ანგარიშზე (ელექტრონული აუქციონის სისტემაში).

ვაცხადებ, რომ მონაწილეობა მივიღე საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მოთხოვნების შესაბამისად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერმოწყობილ წინამდებარე აუქციონზე. აუქციონის შესახებ ინფორმაცია და აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის (ადმინისტრაციული დაპირება) პირობები ვიხილე ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ოფიციალურ ვებ გვედზე www.iauction.ge და სრულად ვეთანხმები მას. ინფორმირებული ვარ, რომ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის (შემდგომში - ოქმი) საფუძველზე, უნდა გაფორმდეს აუქციონატორსა და ჩემს შორის წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულება (შემდგომში - ხელშეკრულება). ჩემთვის ცნობილია, რომ ჩემ მიერ ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარის თქმა მართმევს ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის სტატუსს და გადახდილი ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია არ დამიბრუნდება.

E-mail: infoauction@tbilisi.gov.ge
Tel: (+995 32) 2 72 22 22

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე
მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების
ნებართვა № 000002

ნებართვის გამცემი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა

ნებართვის მფლობელი: შპს "ალმა" (ს/ნ:204873388)

ნებართვის გაცემის თარიღი: 2021 წლის პირველი სექტემბერი

ნებართვის მოქმედების ვადა: 15 (თხუთმეტი) წელი

ნებართვის გაცემის საფუძველი: 2021 წლის 4 აგვისტოს №599 აუქციონის № 2 ლოტზე გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი № E599-2-26516

ლოტის დასახელება: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვა

ნებართვის გამცემის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერა: [signature]

ნებართვის მფლობელის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერა: [signature]

დამკვეთი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა

დამამზადებელი: შპს კაბადონი+

სემგს-ს რეგისტრაციის № 31-5797

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ტერიტორიაზე მდებარე **უძრავ ქონებაზე გარე** რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის შესახებ

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, წარმოდგენილი სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ

და

შპს „ალმას“

შორის

თარიღი: 2021 წლის 19 აგვისტო
თბილისი, საქართველო

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის შესახებ ხელშეკრულება (შემდგომში - „**ხელშეკრულება**“) დადებულია შემდეგ მხარეებს შორის:

ერთი მხრივ, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა** (შემდგომში - „ნებართვის გამცემი“), წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტოს (შემდგომში - „**სააგენტო**“) უფროსის, **ირაკლი თავართქილაძის (პ/ნ: 0124052796)** მიერ;

მეორე მხრივ, **შპს „ალმა“ (ს/ნ 204873388)** (შემდგომში - „**ნებართვის მფლობელი**“), წარმოდგენილი მისი დირექტორის, **გიორგი ტრაპაიძის (პ/ნ: 01030036519)** მიერ.

პრეამბულა

ვინაიდან, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მდინარე მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვების გაცემის შესახებ ელექტრონული პირობებიანი აუქციონების გამოცხადების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის №21.866.983 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივლისის №262 განკარგულებების შესაბამისად, დამტკიცებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის შესახებ ელექტრონული პირობებიანი აუქციონის პირობები;

ვინაიდან, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მდინარე მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვების გაცემის შესახებ ელექტრონული პირობებიანი აუქციონების გამოცხადების შესახებ“ სააგენტოს 2021 წლის 5 ივლისის №61.012118613 ბრძანების საფუძველზე, გამოცხადდა ელექტრონული აუქციონი (შემდგომში - „**აუქციონი**“);

ვინაიდან, აუქციონში, 2021 წლის 4 აგვისტოს №E-599-2-26516 ოქმის საფუძველზე, გამარჯვებულად გამოცხადდა ნებართვის მფლობელი;

ირაკლი თავართქილაძე

გიორგი ტრაპაიძე

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მხარეები დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

I - განმარტებები

1. წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
   1.1.1. **დღე/თვე/წელი** - კალენდარული დღე/თვე/წელი.
   1.1.2. **მუხლი/პუნქტი/ქვეპუნქტი/დანართი** - ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მუხლი/პუნქტი/ქვეპუნქტი/დანართი.
   1.1.3. **მხარე/მხარეები** - ნებართვის მფლობელი/ნებართვის გამცემი ცალ-ცალკე/ერთობლივად.
   1.1.4. **ნებართვა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე ამ ხელშეკრულებისა და კანონმდებლობის შესაბამისად გარე რეკლამის განთავსების ექსკლუზიური ნებართვა.
   1.1.5. **სანებართვო მოწმობა** - შესაბამისი სამართლებრივი აქტ(ებ)ის თანახმად დამტკიცებული ფორმით გაცემული ნებართვის ფლობის დამადასტურებელი საბუთი, რომელიც გაიცემა ამ ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, ამავე ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად.
   1.1.6. **ლოტით გათვალისწინებული ტერიტორია** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ტერიტორია.
   1.1.7. **მუნიციპალიტეტი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი.
   1.1.8. **არსებული ობიექტები** - ამ ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრული ადგილები/ლოკაციები.
   1.1.9. **მცირე საშუალებები** - ლოტით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე, ღია სივრცეებში (მაგალითად, მიწის ნაკვეთზე, გარე განათების ბოძებზე ან/და სხვა კონსტრუქციებზე/ნაგებობებზე) არსებულ უძრავ ქონებაზე ამ ხელშეკრულების ფარგლებში განთავსებული სარეკლამო დანიშნულების მანიშნებლები, რომელიც მიანიშნებს ამა თუ იმ კონკრეტული კომერციული ობიექტის მდებარეობის/ მიმართულების/ საქმიანობის შესახებ და ა.შ.), აგრეთვე, კონკრეტული ბიზნეს-სუბიექტის საქმიანობის რეკლამირების მიზნით, ამ ბიზნეს-სუბიექტის მიმდებარედ განთავსებული, არასტანდარტული, ერთჯერადი სარეკლამო კონსტრუქციები. მცირე საშუალებები განკუთვნილი არ არის მისი მრავალჯერადი გამოყენებისათვის (მაგალითად, შემდგომში სხვა ბიზნეს-სუბიექტის მიერ).
   1.1.10. **მცირე საშუალებების მაქსიმალური რაოდენობა** - ლოტით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე ერთდროულად (დროის იდენტურ მონაკვეთში) განთავსებული/განსათავსებელი გარე რეკლამის მცირე საშუალებების

ხელშეკრულების მე-7 მუხლში მითითებული მაქსიმალური რაოდენობა (ერთეული).

1.1.11. **მუნიციპალიტეტის ობიექტები** - ამ ხელშეკრულების დანართი N2-ით განსაზღვრული ადგილები/ლოკაციები.

1.1.12. **ახალი ობიექტები** - ლოტით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე მდებარე, არსებული ობიექტებისგან განსხვავებულ (დამატებით) ადგილებზე ან/და მეტ ფართობზე, ასევე, მცირე საშუალებების მაქსიმალურ რაოდენობაზე მეტი რაოდენობის გარე რეკლამა, რომელზეც ნებართვის მფლობელი, მუნიციპალიტეტთან შეთანხმების საფუძველზე და ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მოიპოვებს გარე რეკლამის განთავსების უფლებას.

1.1.13. **სარეკლამო ინფრასტრუქტურა** - გარე რეკლამის განთავსებისათვის საჭირო კონსტრუქციები/დანადგარები/ინფრასტრუქტურა.

1.1.14. **სარეკლამო ინფრასტრუქტურის სახეობები** - სარეკლამო ინფრასტრუქტურის ტიპები/სახეობები, რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება ამ ხელშეკრულების დანართებში N1 და N2 მითითებულ რეკლამის ტიპებს/სახეობებს.

1.1.15. **აუდიტორული/საექსპერტო დასკვნა** - სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან მხარეთა შორის წინასწარ, წერილობით შეთანხმებული, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აკრედიტებული/ავტორიზებული სხვა აუდიტორული/საექსპერტო კომპანიის/აუდიტორის მიერ მომზადებული/გაცემული დასკვნა.

1.1.16. **არქიტექტურის სამსახური** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

1.1.17. **ნებართვის გაცემის ფასი** - ნებართვის გაცემის სანაცვლოდ, ნებართვის მფლობელის მიერ ნებართვის გამცემისთვის გადასახდელი, ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლით განსაზღვრული ნებართვის გაცემის ფასი.

1.1.18. **აუქციონის პირობები** - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მდინარე მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვების გაცემის შესახებ ელექტრონული პირობებიანი აუქციონების გამოცხადების შესახებ“ სააგენტოს 2021 წლის 5 ივლისის №61.012118613 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული ელექტრონული აუქციონის პირობები, რომელიც ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.

II - ხელშეკრულების საგანი, ნებართვის მოქმედების ვადა და საფასური

2. ხელშეკრულების საგანია ნებართვის გამცემის მიერ ნებართვის მფლობელისათვის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, ლოტით გათვალისწინებულ

ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის ექსკლუზიურად გადაცემა, წინამდებარე ხელშეკრულებისა და აუქციონის პირობების, და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

3. ნებართვის მოქმედების ვადა განისაზღვრება ნებართვის გაცემიდან 15 (თხუთმეტი) წლით, რომლის ათვლაც დაიწყება სანებართვო მოწმობით განსაზღვრული თარიღიდან.
4. ნებართვის გაცემის ფასი შეადგენს 21 531 803 (ოცდაერთი მილიონ ხუთას ოცდათერთმეტი ათას რვაას სამი) ლარს.

III - ძირითადი პირობები, მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

5. ხელშეკრულების მხარეები უფლებამოსილნი არიან, მოსთხოვონ ერთმანეთს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.
6. ნებართვის მფლობელი უფლებამოსილია ნებართვის მოქმედების ვადის განმავლობაში ამ ხელშეკრულების დანართი N1-ით გათვალისწინებულ არსებულ ობიექტებზე განათავსოს ამავე დანართით განსაზღვრული პარამეტრების გარე რეკლამ(ებ)ი.
   6.1. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, ამ ხელშეკრულების დანართი N1-ში მითითებული გარე რეკლამის ტიპები/სახეობები არის საინფორმაციო ხასიათის და ნებართვის მფლობელი უფლებამოსილია, არსებულ ობიექტებზე, საკუთარი შეხედულებისამებრ, განათავსოს სხვა სახეობის გარე რეკლამა, დანართ N1-ში მითითებული პარამეტრების ფარგლებში და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.
7. ნებართვის მფლობელი უფლებამოსილია, გარდა არსებული ობიექტებისა, ლოტით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე განათავსოს გარე რეკლამის მცირე საშუალებები ერთდროულად (დროის იდენტურ მონაკვეთში) არაუმეტეს 470 (ოთხას სამოცდაათი) ერთეულისა, შემდეგი პირობებით:
   7.1. ნებართვის მფლობელი ვალდებულია თითოეული მცირე საშუალებების სარეკლამო ინფრასტრუქტურის განთავსებაზე თანხმობა (გამოყენების უფლება/შეტყობინება/ნებართვა ან სხვ., კანონმდებლობის შესაბამისად) მოიპოვოს წინასწარ არქიტექტურის სამსახურისგან (კანონმდებლობის თანახმად განსაზღვრული სხვა შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოსგან), კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით;
   7.2. არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული, ერთდროულად (დროის იდენტურ მონაკვეთში) მოქმედი თანხმობ(ებ)ით გათვალისწინებული მცირე საშუალებების სარეკლამო ინფრასტრუქტურის (მცირე რეკლამის) ჯამური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მცირე საშუალებების მაქსიმალურ რაოდენობას.

8. ნებართვის მფლობელი უფლებამოსილია, სააგენტოს წერილობითი თანხმობის საფუძველზე, მოიპოვოს გარე რეკლამის განთავსების უფლება ახალ ობიექტებზე. ახალი ობიექტის განთავსების ნებართვის მოპოვების სანაცვლოდ, მან მუნიციპალიტეტს უნდა გადაუხადოს ამგვარი ცვლილებით გამოწვეული გაუმჯობესების შესაბამისი საბაზრო ღირებულება, რომელიც დგინდება აუდიტორული/საექსპერტო დასკვნის საფუძველზე. დასკვნა მომზადებულ უნდა იქნას ნებართვის მფლობელის დაკვეთითა და ხარჯებით.

8.1. ნებართვის მფლობელის მიერ, ახალ ობიექტებზე რეკლამის განთავსების უფლების მოპოვების შესახებ განცხადება წარდგენილ უნდა იქნას სააგენტოში წერილობითი ფორმით, შესაბამისი აუდიტორული/საექსპერტო დასკვნისა და არქიტექტურის სამსახურის (კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს) მიერ შესაბამისი ობიექტის განთავსების თაობაზე გაცემული შუალედური/წინასწარი თანხმობის თანხლებით. სააგენტო/ნებართვის გამცემი განცხადებას განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

8.2. ნებართვის გამცემის მიერ ახალ ობიექტებზე რეკლამის განთავსების უფლების გაცემის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ნებართვის მფლობელი ვალდებულია აუდიტორული/საექსპერტო დასკვნის საფუძველზე დადგენილი საფასური სრულად გადაიხადოს სააგენტოს მიერ მითითებულ ანგარიშზე, ახალ ობიექტზე სარეკლამო ინფრასტრუქტურის განთავსებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს ნებართვის გამცემის მიერ ახალ ობიექტებზე რეკლამის განთავსების უფლების გაცემის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღებიდან 60 (სამოცი) დღისა. ნებართვის მფლობელი ვალდებულია, სააგენტოს დაუყოვნებლივ, წერილობითი ფორმით აცნობოს ახალი ობიექტის განთავსების თარიღი. იმ შემთხვევაში, თუ ამ პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში შესაბამის ახალ ობიექტზე საფასური არ იქნა სრულად გადახდილი, ნებართვის გამცემის მიერ ახალი ობიექტის განთავსების თაობაზე დადებითი გადაწყვეტილება მიიჩნევა ძალადაკარგულად და მის საფუძველზე ნებართვის მფლობელს არ წარმოეშობა ახალი ობიექტის განთავსების უფლება.

8.3. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, ნებართვის გამცემი/სააგენტო არცერთ შემთხვევაში არ არის ვალდებული, დააკმაყოფილოს ნებართვის მფლობელის მიმართვა ახალი ობიექტის განთავსების თაობაზე და იგი უფლებამოსილია, საკითხი გადაწყვიტოს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, საკუთარი შეხედულებისამებრ.

9. ნებართვის მფლობელი უფლებამოსილია, ნებართვის ფარგლებში საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვროს არსებულ ობიექტებზე, ახალ ობიექტებსა და მცირე საშუალებებზე გარე რეკლამის განთავსების (გავრცელების) საფასურის ოდენობა და სხვა პირობები. ნებართვის მოქმედების ვადის განმავლობაში აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი სრულად ეკუთვნის ნებართვის მფლობელს (კანონმდებლობით

დადგენილი შესაბამისი გადასახადების გარდა). სარეკლამო ინფრასტრუქტურაზე გარე რეკლამის განთავსებისთვის რაიმე სახის, გარდა ამ ხელშეკრულებით დადგენილისა, საფასურის ან/და მოსაკრებლის გადახდა ნებართვის გამცემისათვის ნებართვის მფლობელს არ მოეთხოვება.

10. ნებართვის მფლობელი ვალდებულია გადაუხადოს ნებართვის გამცემს ნებართვის გაცემის ფასი წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, შემდეგ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით - TRESGE22, სახაზინო კოდი - 300773283.
11. სანებართვო მოწმობა გაიცემა ნებართვის გაცემის ფასის (ასევე, დაკისრებული პირგასამტეხლოს, ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხელშეკრულებით დადგენილ ან/და ნებართვის გამცემის მიერ განსაზღვრულ დამატებით ვადაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სრულად გადახდის დღიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში, მაგრამ არაუადრეს 2021 წლის 1 სექტემბრისა.
12. მუნიციპალიტეტი (მათ შორის, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირ(ებ)ი) უფლებამოსილია ლოტით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე, მუნიციპალიტეტის ობიექტებზე და ასევე, სხვა ნებისმიერ ადგილზე, საკუთარი შეხედულებისამებრ, შეუზღუდავად განათავსოს ნებისმიერი სახის სარეკლამო ინფრასტრუქტურა და გაავრცელოს მასზე ისეთი სახის რეკლამა, რომელიც ემსახურება საზოგადოების (მისი ნაწილის) ინფორმირებას მუნიციპალიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებულ ან/და საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხზე. ამასთან, დაუშვებელია ამ პუნქტში მითითებული სარეკლამო ინფრასტრუქტურის გამოყენება მუნიციპალიტეტის ან/და სხვა მესამე პირის მიერ მასზე უშუალოდ სარეკლამო საშუალების განთავსებიდან მოგების მიღების/კომერციული საქმიანობის წარმართვის მიზნით.
13. ნებართვის მფლობელი ვალდებულია, ნებართვის მოქმედების ვადის განმავლობაში მუდმივად უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის ობიექტებზე დანართი N2-ში მოცემული პარამეტრების სარეკლამო ინფრასტრუქტურის განთავსება, ასევე, მათი მოვლა-პატრონობა, რემონტი/განახლება (საჭიროებისამებრ), მათი თავისუფალ მდგომარეობაში შენარჩუნება და მათზე მუნიციპალიტეტის/სააგენტოს მიერ წერილობით განსაზღვრული პირების) მიერ მიწოდებული გარე რეკლამის გავრცელება და ამ მიზნით, სხვა შესაბამისი სამუშაოების გაწევა/ღონისძიებების განხორციელება, საკუთარი ხარჯებით, შემდეგი პირობებით:
    13.1. მუნიციპალიტეტის ობიექტებზე დანართ N2-ში მოცემული პარამეტრების სარეკლამო ინფრასტრუქტურა განათავსოს ნებართვის ამოქმედებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში;
    13.2. მუნიციპალიტეტის ობიექტებზე გარე რეკლამა გაავრცელოს/განაახლოს ნებართვის მოქმედების ვადის განმავლობაში ნებისმიერ დროს, მუნიციპალიტეტის / სააგენტოს მიერ წერილობით განსაზღვრული პირ(ებ)ის მიერ შესაბამისი მოთხოვნისა და სარეკლამო მასალის მიწოდებიდან არაუგვიანეს 10 (ათი)

კალენდარული დღის ვადაში, ნებართვის მფლობელის ხარჯებით (სარეკლამო მასალის შექმნის ხარჯები ნებართვის მფლობელს არ ეკისრება). მუნიციპალიტეტის თითოეულ ობიექტზე ამ პუნქტის შესაბამისად ახალი რეკლამის (სარეკლამო ზედაპირის) განთავსების მოთხოვნა გამარჯვებულ პირს შესაძლებელია წარედგინოს ერთი კალენდარული წლის განმავლობაში არაუმეტეს 12-ჯერ.

13.3. მუნიციპალიტეტის/სააგენტოს მიერ განსაზღვრული პირ(ებ)ის შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში, რომელიც ნებართვის მფლობელს უნდა წარედგინოს სარეკლამო მასალის ჩამოხსნამდე, გადასცეს (დაუბრუნოს) მათ შესაბამისი სარეკლამო მასალები;

13.4. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, ნებართვის მფლობელს არ აქვს უფლება, მუნიციპალიტეტის ობიექტებზე განათავსოს სხვა გარე რეკლამა, გარდა მუნიციპალიტეტის/სააგენტოს მიერ განსაზღვრული პირ(ებ)ის მიერ მიწოდებული გარე რეკლამისა;

14. ნებართვის მფლობელი ვალდებულია, ნებართვის მოქმედების ვადის გასვლიდან, ვადაზე ადრე გაუქმებიდან ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შესაბამის შემთხვევებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ნებართვის გამცემის/სააგენტოს მიმართვიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში, საკუთარი ხარჯებით, უზრუნველყოს ნებართვის ფარგლებში განთავსებული ნაგებობების (სარეკლამო ინფრასტრუქტურისა და მასზე გავრცელებული გარე რეკლამის) დემონტაჟი, კანონმდებლობით დადგენილი წესისა და მოთხოვნების შესაბამისად.

15. ნებართვის მფლობელი ვალდებულია, ნებართვის მოქმედების განმავლობაში შესაბამისი სარეკლამო ინფრასტრუქტურა მუდმივად შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უსაფრთხოების, სატრანსპორტო, გარემოსდაცვით და სხვა შესაბამის სტანდარტებსა და მოთხოვნებს.

16. ნებართვის მფლობელი ვალდებულია, უზრუნველყოს სარეკლამო ინფრასტრუქტურის დემონტაჟის/მონტაჟის, ასევე გარე რეკლამების განთავსებისთვის საჭირო სამუშაოების განხორციელება გადაადგილების მინიმალური შეზღუდვით/შეფერხებითა და სანიტარული ნორმების/სტანდარტების დაცვით, შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებთან მაქსიმალური თანამშრომლობისა და კოორდინაციის გზით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

17. ნებართვის მფლობელი ვალდებულია, დაიცვას სარეკლამო ინფრასტრუქტურისა და მასზე გარე რეკლამის განთავსების უფლების (თანხმობა/გამოყენების უფლება/შეტყობინება და სხვ.) მოპოვების, განახლების/ვადის გაგრძელებისა და მათი ექსპლუატაციის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული წესები, შეზღუდვები და სტანდარტები, მათ შორის, დანართი N2-ში მითითებულ ობიექტებთან მიმართებით.

17.1. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016

წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 41-ე მუხლით გათვალისწინებულ, აუქციონით განსაზღვრულ ადგილებს წარმოადგენს ამ პირობების დანართი N1-ში და დანართი N2-ში მითითებულ ობიექტები და დადგენილების ზემოაღნიშნული მუხლი არ ვრცელდება ახალ ობიექტებსა და მცირე საშუალებებზე.

18. ნებართვის მფლობელი ვალდებულია, გადაიხადოს გარე რეკლამის განთავსების მიზნით მოხმარებული კომუნალური მომსახურების საფასური, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ნებართვის მფლობელი საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს გამრიცხველიანებას და შესაბამის მიმწოდებელთან ცალკე აბონენტად დარეგისტრირებას (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) და შესაბამისი მომსახურების ღირებულების (ელექტროენერგია და სხვ.) შესაბამისი მიმწოდებლისათვის გადახდას, მათ შორის, მუნიციპალიტეტის ობიექტებთან მიმართებით.
19. ნებართვის მფლობელი ყველა შემთხვევაში წარმოადგენს ნებართვის გამცემის მიმართ პასუხისმგებელ პირს ხელშეკრულებით განსაზღვრულ (მათ შორის, სარეკლამო ინფრასტრუქტურის დემონტაჟთან დაკავშირებულ) ან/და მასთან დაკავშირებით წარმოშობილ ვალდებულებებთან მიმართებით.
20. ნებართვის მფლობელი, ნებართვის გამცემის წერილობით თანხმობის გარეშე, არ არის უფლებამოსილი, გარე რეკლამის განთავსების ნებართვა განკარგოს მესამე პირებზე ან/და იგი დატვირთოს (რაიმე სამართლებრივი ფორმით) მესამე პირ(ებ) ის სასარგებლოდ.
21. ნებართვის მოქმედების პერიოდში ნებართვის გამცემი არ არის უფლებამოსილი ლოტით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე არსებულ უძრავ ქონებაზე გასცეს ნებისმიერ მესამე პირზე რეკლამის განთავსების უფლება, გარდა ამ ხელშეკრულებით დადგენილი გამონაკლისებისა.
22. იმ შემთხვევაში, თუ სატრანსპორტო/ქალაქგეგმარებითი მიზანშეწონილობიდან ან/და შეცვლილი/ახლად გამოვლენილი გარემოებებიდან გამომდინარე, ნებართვის გამცემი მიზანშეწონილად მიიჩნევს არსებული ობიექტების, მცირე საშუალებების, ახალი ობიექტების ან/და მუნიციპალიტეტის ობიექტების მონაცემებში ცვლილებას (კორექტირებას) ან/და მათ გაუქმებას, ნებართვის გამცემი უფლებამოსილია საკუთარი გადაწყვეტილების საფუძველზე, ნებართვის მფლობელისთვის 2 (ორი) თვიანი წინასწარი შეტყობინების გაგზავნის გზით, გააუქმოს ზემოაღნიშნული ობიექტები ან/და ცვლილება შეიტანოს მათ მონაცემებში.
    22.1. წინამდებარე 22-ე მუხლით გათვალისწინებული ობიექტების მონაცემების ცვლილებების ან/და მათი გაუქმების შემთხვევაში, მხარეები შესაძლებელია წერილობით შეთანხმდნენ გაუქმებული ობიექტის ან/და ობიექტის შემცირებული ფართის ალტერნატიულ გარე რეკლამის ობიექტით/შესაბამისად გაზრდილი ფართით ჩანაცვლების თაობაზე. ალტერნატიულ ობიექტზე/ფართზე შეთანხმების შეუძლებლობის შემთხვევაში, ნებართვის მფლობელს, მისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, აუნაზღაურდება შესაბამისი ობიექტის მონაცემების ცვლილებით/ობიექტის გაუქმებით გამოწვეული ზიანი, რომელიც დგინდება

აუდიტორული/საექსპერტო დასკვნის საფუძველზე. წინამდებარე პუნქტის მიზნებისათვის, ზიანი მოიცავს ამ ხელშეკრულების საფუძველზე ნებართვის მფლობელის მიერ გადახდილი გარე რეკლამის საფასურის შესაბამის ნაწილს (დროში ფულის ღირებულების, ნებართვის ვადის გასვლამდე დარჩენილი ვადისა და გარე რეკლამის შემცირებული/გაუქმებული ფართის გათვალისწინებით), რომელიც განისაზღვრება შესაბამისი ობიექტზე გარე რეკლამის საფასურის დადგენის თაობაზე გაცემული ექსპერტიზის/აუდიტორული დასკვნის მაჩვენებლების გათვალისწინებით, სარეკლამო ინფრასტრუქტურის შექმნისა და მონტაჟის ხარჯებს, ობიექტის გაუქმების გამო გაუწეველი მომსახურებისათვის ნებართვის მფლობელის მიერ რეკლამის დამკვეთისთვის გადასახდელ თანხას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვა სახის პირდაპირ და უშუალო ზიანს. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, წინამდებარე პუნქტის მიზნებისათვის, ზიანი არ მოიცავს მიუღებელ შემოსავალს და ნებართვის მფლობელს არ წარმოეშობა მისი მოთხოვნის უფლება.

23. ნებართვის გამცემისა და ნებართვის მფლობელის წერილობითი შეთანხმებით, შესაძლებელია განხორციელდეს არსებული ან/და ახალი ობიექტის ადგილმონაცვლეობა, იმ შემთხვევაში, თუ ნებართვის გამცემის მიზეზით, შესაბამისი ობიექტის გარე რეკლამის გავრცელების დანიშნულებით გამოყენება შეუძლებელი გახდება ან არსებითად შეიზღუდება.

24. ნებართვის გამცემი ნებართვის მფლობელს არ გადასცემს (არცერთი სამართლებრივი ფორმით) რაიმე სარეკლამო ინფრასტრუქტურას (მათ შორის, არსებულ ობიექტებზე დღესდღეობით ფაქტობრივად განთავსებულ სარეკლამო კონსტრუქციებს ან/და მცირე საშუალებების ინფრასტრუქტურას). არსებული ინფრასტრუქტურა ეკუთვნის მოქმედი ნებართვის მფლობელ(ებ)ს ან/და სხვა, შესაბამის მესამე პირებს. ამასთან, ნებართვის მფლობელის წინაშე დღეის მდგომარეობით ფაქტობრივად განთავსებული სარეკლამო კონსტრუქციების ინფრასტრუქტურის/გარე რეკლამის დემონტაჟის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობა ნებართვების გამცემს არ ეკისრება. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, წინამდებარე პუნქტი არ გამორიცხავს შესაბამისი, კომპეტენტური/უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოების ვალდებულებას, განახორციელონ კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული რეაგირება უკანონო ინფრასტრუქტურის დემონტაჟთან დაკავშირებით, თუმცა, წინამდებარე ხელშეკრულება აღნიშნულთან დაკავშირებით არ ანიჭებს ნებართვის მფლობელს კანონმდებლობით პირდაპირ განსაზღვრულისგან განსხვავებული/დამატებითი მოთხოვნის უფლებას მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოების მიმართ.

25. შესაბამისი სარეკლამო ინფრასტრუქტურის (ნაგებობების) და მასზე გარე რეკლამის განთავსების უფლების (თანხმობა/გამოყენების უფლება/შეტყობინება და სხვ.) გაცემის/განახლების/ვადის გაგრძელების საკითხი (საჭიროების შემთხვევაში) განიხილება შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოების მიერ, მათი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში და შესაბამის დროს მოქმედი კანონმდებლობის

მიხედვით. მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოები უფლებამოსილი არიან, ნებისმიერ დროს, შეუზღუდავად დაადგინონ და განსაზღვრონ გარე რეკლამის განთავსებისთვის ახალი/დამატებითი წესები, სტანდარტები და შეზღუდვები, ქალაქგეგმარებითი ხედვები და ა.შ.

26. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ნებართვა ვრცელდება ლოტით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე არსებულ უძრავ ქონებაზე და არ მოიცავს მესამე პირთა (ასეთ პირად მიიჩნევა ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი,) საკუთრებაში დღეს არსებულ ან/და მომავალში დარეგისტრირებულ ტერიტორიებს. აღნიშნულ ტერიტორიებზე გარე რეკლამის განთავსების საკითხი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
27. ლოტით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე არსებულ უძრავ ქონებაზე, რომელიც გადაცემულია მესამე პირებისათვის სარგებლობის უფლებით, გარე რეკლამის განთავსების საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
28. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, აუქციონის საგანი არ მოიცავს (ექსკლუზივიდან გამონაკლისს წარმოადგენს) აუქციონის პირობების 2.11.1 – 2.11.5 ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ქონებას/ტერიტორიებს და ასევე, საზოგადოებრივი/მუნიციპალური მნიშვნელობის პროექტების განხორციელების მიზნით, მუნიციპალიტეტის/სახელმწიფოს მიერ სარგებლობის ნებისმიერი ფორმით, შესაბამისი მესამე პირ(ებ)ისთვის გადაცემულ/მომავალში გადასაცემ უძრავ ქონებას, იმ შემთხვევაში, თუ პროექტის განხორციელების ერთ-ერთ ძირითად პირობად განსაზღვრულია შესაბამის უძრავ ქონებაზე ან/და მასზე განთავსებულ/განსათავსებელ ობიექტებზე გარე რეკლამის განთავსება.
29. მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოები უფლებამოსილი არიან, საკუთარი შეხედულებისამებრ, დაადგინონ კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე გარე რეკლამის განთავსებისა და მართვის დღეს არსებულისგან განსხვავებული/დამატებითი წესები და სტანდარტები. აღნიშნულიდან გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებით აუქციონში გამარჯვებულ პირს მუნიციპალიტეტის მიმართ არ წარმოეშობა რაიმე მოთხოვნის ან/და პრეტენზიის წარდგენის უფლება.
30. ნებართვის გამცემი/სააგენტო უფლებამოსილია, ნებართვის ვადის განმავლობაში მიმართოს ნებართვის მფლობელს ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებართვის მფლობელის ვალდებულებების/სანებართვო პირობების შესრულების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით, რა შემთხვევაშიც ნებართვის გამცემი ვალდებულია, წერილობით მიაწოდოს ნებართვის მფლობელს მოთხოვნილი ინფორმაცია და შესაბამისი დოკუმენტაცია არაუგვიანეს მოთხოვნის მიღებიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში.
31. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, მხარეები თანხმდებიან და ადასტურებენ, რომ ნებართვის მფლობელის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები წარმოადგენს სანებართვო პირობებს და მათზე ვრცელდება სანებართვო პირობებთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დებულებები.

IV - მხარეთა პასუხისმგებლობა

32. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, წინამდებარე ხელშეკრულებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
33. ნებართვის მფლობელის მიერ ხელშეკრულების 8.2 პუნქტისა ან/და მე-10 მუხლით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, ნებართვის მფლობელს ეკისრება პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით, ძირითადი ვადის დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვალდებულების სრულად შესრულებამდე ან ხელშეკრულების შეწყვეტამდე, რომელიც უფრო ადრე დადგება.
34. ნებართვის მფლობელის მიერ ხელშეკრულების მე-10 მუხლით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, ნებართვის გამცემი უფლებამოსილია ნებართვის მფლობელს განუსაზღვროს გონივრული ვადა (მაგრამ არაუმეტეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღისა) დარღვევის გამოსასწორებლად (შემდგომში - „დამატებითი ვადა"), ხოლო ნებართვის მფლობელს დაეკისრება 33-ე მუხლით განსაზღვრული პირგასამტეხლო. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, დამატებითი ვადის განსაზღვრა წარმოადგენს ნებართვის გამცემის უფლებამოსილებას და იგი არ არის ვალდებული, განსაზღვროს ამგვარი დამატებითი ვადა. ნებართვის გამცემი უფლებამოსილია, ნებართვის მფლობელის მიერ ძირითადი ვადის დარღვევის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ გააუქმოს აუქციონის შედეგები და შეწყვიტოს ხელშეკრულება.
35. ნებართვის მფლობელის მიერ ხელშეკრულების მე-13 მუხლით/მისი პუნქტებით ან/და მე-14 მუხლით გათვალისწინებული თითოეული ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, ნებართვის მფლობელს ეკისრება პირგასამტეხლო თითოეულ დარღვევაზე 100 (ასი) ლარის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვალდებულების სრულად შესრულებამდე ან ხელშეკრულების შეწყვეტამდე, რომელიც უფრო ადრე დადგება.
36. ხელშეკრულების 33-ე და 34-ე მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულებების გარდა, ხელშეკრულების გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, ნებართვის გამცემი უფლებამოსილია ნებართვის მფლობელს თითოეული ასეთი ვალდებულების დარღვევისათვის დააკისროს პირგასამტეხლო 100 (ასი) ლარის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, დარღვევის დღიდან ვალდებულების შესრულებამდე ან/და ხელშეკრულების შეწყვეტამდე, რომელიც დადგება პირველი.
37. ნებისმიერი პირგასამტეხლოს გადახდა მხარეს არ ათავისუფლებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან.
38. წინამდებარე ხელშეკრულების დადებით მხარეები აცხადებენ და ადასტურებენ, რომ პირგასამტეხლოს ის ოდენობები/განაკვეთები, რომელიც დადგენილია ამ

ხელშეკრულებით, გათვალისწინებულია სრულიად გააზრებულად და თითოეული ასეთი განაკვეთის ოდენობა ემყარება იმ მნიშვნელობას, რაც აქვს ვალდებულების დროულ და ჯეროვან შესრულებას თითოეული მხარისათვის.

39. ნებართვის მფლობელის მიერ ამ ხელშეკრულებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევით, გამოწვეულ ზიანზე, ზარალზე ან/და რაიმე სახის საჯარო-სამართლებრივ სანქციაზე მუნიციპალიტეტთან მიმართებით პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება ნებართვის მფლობელს.

40. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობების/პირგასამტეხლოს გარდა, გამარჯვებულ პირს შესაძლოა დაეკისროს პასუხისმგებლობა (მათ შორის, ჯარიმა) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

41. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევით ახალი ობიექტების განთავსება ან/და მცირე რეკლამების მაქსიმალურ რაოდენობაზე დიდი ოდენობის მცირე რეკლამის განთავსება მიიჩნევა გარე რეკლამის განთავსებად შესაბამისი ნებართვის პირობების დარღვევით და ასეთ შემთხვევაზე ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი პასუხისმგებლობა.

V - ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ხელშეკრულების შეწყვეტა

42. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს ნებართვის ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მოქმედების ვადის ამოწურვიდან 4 (ოთხი) თვის ვადით, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ხელშეკრულების მოქმედება ვადაზე ადრე შეწყდება.

43. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

43.1. მხარეთა ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე;

43.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლით;

43.3. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

43.4. ცალმხრივად, ნებართვის გამცემის მიერ, იმ შემთხვევაში, თუ:

43.4.1. ნებართვის მფლობელმა დაარღვია ხელშეკრულების მე-10 მუხლით ნაკისრი ვალდებულება. ასეთ შემთხვევაში, ნებართვის მფლობელს არ დაუბრუნდება აუქციონის პირობების შესაბამისად გადახდილი თანხები/საბანკო გარანტია და არ აუნაზღაურდება ხელშეკრულებიდან გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები.

43.4.2. ნებართვის მფლობელის მიერ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ნებართვის გამცემმა გააუქმა ნებართვა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

VI - საბანკო გარანტია

44. ნებართვის მფლობელის მიერ წარმოდგენილია სს „საქართველოს ბანკის“ (ს/კ 204378869) (შემდგომში - „გარანტი“) მიერ 2021 წლის 28 ივლისს გაცემული №A22107049-21 საბანკო გარანტია (შემდგომში - „საბანკო გარანტია“), რომელიც უზრუნველყოფს ამ ხელშეკრულების დადებასა და ხელშეკრულების მე-10 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების ამავე მუხლით დადგენილი პირობების შესაბამისად შესრულებას (მათ შორის, საფასურის სრულად ან ნაწილობრივ გადაუხდელობის/დაგვიანებით გადახდის შემთხვევაში, ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდას).
45. ნებართვის მფლობელის მიერ ხელშეკრულების მე-10 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების სრულად შესრულებისა და დაკისრებული პირგასამტეხლოს სრულად გადახდის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემთხვევაში, ნებართვის გამცემი 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში დაუბრუნებს გარანტს საბანკო გარანტიის დედანს ან/და წერილობით იტყვის უარს გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე.

VII - ფორს-მაჟორი

46. ფორს-მაჟორი ნიშნავს ნებისმიერ მოვლენას, რომელიც მხარეების გონივრულ კონტროლის მიღმაა და მისი წარმოქმნის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელი იყო ხელშეკრულების დადების მომენტისათვის, მათ შორის, ომი, რევოლუცია, ამბოხი, აჯანყება, სამოქალაქო ომი, ინტერვენცია, შეიარაღებული კონფლიქტი, ტერორისტული აქტი, საბოტაჟი, რადიაცია, ბიოლოგიური ან ქიმიური დაბინძურება, აფეთქება, ხანძარი, ეპიდემია, ციკლონი, მეწყერი, მეხი, მიწისძვრა, წყალდიდობა, ვულკანის ამოფრქვევა, სხვა სტიქიური უბედურება ან ნებისმიერი მსგავსი მოვლენა.
47. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მხარეს ხელი ეშლება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში ხელშეკრულებაში აღნიშნული ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის გამო, მან დაუყოვნებლივ წერილობით უნდა შეატყობინოს დანარჩენ მხარეებს აღნიშნულის შესახებ. ამავე მხარემ გონივრულ ვადაში უნდა წარუდგინოს დანარჩენ მხარეებს დეტალური ინფორმაცია ფორს-მაჟორის მიზეზებისა და შედეგების შესახებ. სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში, ფორს-მაჟორული გარემოების არსებობა დადასტურებულ უნდა იქნას სსიპ „საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის“ (ან/და შესაბამისი კომპეტენტური ორგანო) მიერ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
48. თუ ფორს-მაჟორული გარემოება ხელს შეუშლის რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების ან/და მისი ნაწილის ჯეროვნად შესრულებას, იმ მხარეს, რომელიც ფორს-მაჟორზე მიუთითებს, ასეთ გარემოებასა და შესაბამისი ვალდებულების შეუსრულებლობას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადასტურების შემთხვევაში, ვალდებულებების შეუსრულებლობა ჩაეთვლება საპატიოდ

და ხელშეკრულების სხვა მხარეს არ ექნება უფლება შეწყვიტოს ხელშეკრულება აღნიშნული საფუძვლით, გარდა ხელშეკრულებით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა.

VII - მხარეთა შორის კომუნიკაცია

49. მხარეებს შორის სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი კომუნიკაცია წარიმართება წერილობითი ფორმით, მატერიალური სახით, სახელმწიფო ენაზე. მატერიალური წერილობითი შეტყობინება შეიძლება გაიგზავნოს საფოსტო გზავნილით, უშუალო გადაცემით.
50. მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების შემთხვევაში, შესაბამის საკითხზე კომუნიკაცია შესაძლოა წარიმართოს ელექტრონული სახით (ელ-ფოსტით).
51. მხარეთა რეკვიზიტებია:
    - სსიპ - ქონების მართვის სააგენტო:
        - საიდენტიფიკაციო კოდი: 205296375;
        - იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას 7
        - ელექტრონული ფოსტა: info@tbilisi.gov.ge
        - ტელეფონის ნომერი: 272 22 22
    - შპს „ალმა“
        - საიდენტიფიკაციო კოდი: 204873388;
        - იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, ვანის ქ.,N6;
        - ელექტრონული ფოსტა: info@alma.ge
        - ტელეფონის ნომერი: 577 04 12 87.
52. ხელშეკრულების 49-ე პუნქტის მოთხოვნები ვრცელდება მხარეთა შორის კომუნიკაციის ყველა იმ შემთხვევაზე, რომელიც ამ ხელშეკრულებით ითვალისწინებს კომუნიკაციის წერილობით ფორმას.
53. თუ მხარე მეორე მხარეს - ადრესატს განუსაზღვრავს ვადას გარკვეული მოქმედების შესასრულებლად, ვადის დასაწყისად მიიჩნევა ადრესატის მიერ შეტყობინების მიღების თარიღი/საათი.
54. მხარეები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ აცნობონ ერთმანეთს საკონტაქტო მონაცემების ნებისმიერი რეკვიზიტის ცვლილების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეტყობინება ითვლება ადრესატის მიერ მიღებულად მის მიერ მითითებულ უკანასკნელ მისამართზე გაგზავნის შემთხვევაში.

VIII - ხელშეკრულების ცვლილება და დავის გადაწყვეტის წესი

55. ხელშეკრულებაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და უნდა შეთანხმდეს მხარეებს შორის წერილობითი ფორმით.
56. მხარეებს შორის ხელშეკრულება დადებულია, რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
57. მხარეებს შორის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებით ნებისმიერი დავა გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
58. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

IX - გარდამავალი/დამატებითი დებულებები და სხვა პირობები

59. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის თარიღიდან.
60. თუ ხელშეკრულების რომელიმე მუხლი, პუნქტი ან პირობა დაკარგავს ძალას, სხვა მუხლები, პუნქტები და პირობები რჩება ძალაში.
61. დანართი N1 და დანართი N2 წარმოადგენს ხელშეკრულების არსებით და განუყოფელ ნაწილს.
62. ხელშეკრულების ყველა გვერდი ხელმოწერილი უნდა იყოს მხარეთა მიერ.

ხელმოწერები:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა,
წარმოდგენილი სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ

ირაკლი თავართქილაძე (პ/ნ: 0124052796)

შპს „ალმა“ (ს/ნ 204873388)

გიორგი ტრაპაიძე (პ/ნ: 01030036519)

დანართი N1

1	#1 ღვინის ქარხნის მოპირდ. მხარეს (მელიქიშვილის 39)	მთაწმინდა	ლითბეტონი	2	1.6X1.1	3.52	მარკვენა
2	#1 ღვინის ქარხნის წინ ლითბეტონი, მელიქიშვილის N20	მთაწმინდა	ლითბეტონი	2	1.6X1.1	3.52	მარკვენა
3	აბაშიძე-არაყიშვილის კვეთა მისონის პირდ (მრგვალი ბაღიდან)	ვაკე	ბილბორდი 2.77X3.8	1	2.77X3.8	10.526	მარკვენა
4	აბაშიძე-არაყიშვილის კვეთა მისონის პირდ (მრგვალი ბაღისკენ)	ვაკე	ბილბორდი 2.77X3.8	1	2.77X3.8	10.526	მარკვენა
5	აბაშიძის და არაყიშვილის ქუჩების გადაკვეთა	ვაკე	ლითბეტონი	2	1.6X1.1	3.52	მარკვენა
6	აბაშიძის და კავსაძის ქუჩების გადაკვეთა	ვაკე	ლითბეტონი	2	1.6X1.1	3.52	მარკვენა
7	აბაშიძის ქუჩა ვიულეტის მოპირდაპირედ მრგვალი ბაღიდან (მისონთან)	ვაკე	ბილბორდი 2.77X3.8	1	2.77X3.8	10.526	მარკვენა
8	აბაშიძის ქუჩა მისონის მოპირდაპირედ მრგვალი ბაღიდან	ვაკე	ბილბორდი 2.77X3.8	1	2.77X3.8	10.526	მარკვენა
